ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ
გენდერული თანასწორობის პოლიტიკის
განხორციელების

სახელმძღვანელო პრინციპები



ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები

სახელმძღვანელოს შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს გზამკვლევს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, გენდერული თანასწორობის იმ ასპექტის გასათვალისწინებლად, როგორიცაა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ადგილობრივ დონეზე.

ბროშურის თავდაპირველი ვარიანტი 2012 წელს შეიქმნა. ის გამიზნული იყო გამგებლის რწმუნებულებისათვის, რათა მათ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ეზრუნათ გენდერულ თანასწორობაზე და შეექმნათ ისეთი გარემო, სადაც ქალები გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულნი იქნებოდნენ თემის დონეზე, მათთვის მისაწვდომი იქნებოდა საზოგადოებრივი სიკეთეები და ისინი გახდებოდნენ ადგილობრივ დონეზე ცვლილებების და განვითარების ლიდერები. ამ საქმიანობის განხორციელებაში მათი საყრდენი იყო ბროშურაში მოყვანილი საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (*2010 წლის 26 მარტი).* აღნიშნულ დოკუმენტს, რომელიც ატვირთულია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე, აქტიურად იყენებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

სახელმძღვანელოს წინამდებარე განახლებულ ვერსიაში გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებები *(მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 22 ივლისს და ძალაში შესული 2015*

წლის 1 სექტემბრიდან), რაც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ახალ ფორმებსა და გარანტიებს; ის ასევე შეიცავს გენდერული თანასწორობის კანონში განხორციელებულ ცვლილებას (*2016 წლის 13 მაისი),* რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობებს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნას ავალებს; და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონში ცვლილებას (*2016 წლის თებერვალი),* რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობებს აძლევს უფლებამოსილებას ჩაერთონ ოჯახური ძალადობის პრევენციაში, ხელი შეუწყონ თავშესაფრების/კრიზისული ცენტრების შექმნას და დაიცვან ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი.

დოკუმენტის განახლებისას დავეყრდენით გაეროს ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ კონვენციის კომიტეტის საქართველოსთვის შემუშავებულ რეკომენდაციებს. საქართველო კონვენციის ხელმომწერი ქვეყანაა და ვალდებულია, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ანგარიშით წარსდგეს CEDAW კომიტეტის წინაშე. რეკომენდაციებში მოხსენებულია მუნიციპალური სერვისი „ქალთა ოთახი“, რომელიც სპეციალურ სივრცეს წარმოადგენს ქალთა გაძლიერებისათვის ადგილობრივ დონეზე. კომიტეტის რეკომენდაციები მნიშვნელოვანია, რათა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უკეთ შეაფასონ და დაინახონ, რომ საქართველოში გენდერულ თანსწორობას და ქალთა მდგომარეობას საერთაშორისო და ადგილობრივი კონტექსტი აქვს და საქართველოში არსებული მდგომარეობა საერთაშორისო საზრუნავიცაა.

დოკუმენტს ახლავს დანართები, სადაც წარმოდგენილია ის კანონები, რომლებსაც ეფუძნება პუბლიკაცია: საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (დანართი 1), ამონარიდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსიდან (დანართი 2), CEDAW კომიტეტის საქართველოსთვის განკუთვნილი რეკომენდაციები (დანართი 3), ასევე აღწერილია საქართველოს 19 მუნიციპალიტეტში არსებული ახალი მუნიციპალური სერვისი „ქალთა ოთახი“ (დანართი 4) და გენდერის შესახებ ცნებებისა და კონცეფციების განმარტებები (დანართი 5).

სარჩევი

1. შესავალი 4

2. ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში გენდერული თანასწორობის მიდგომის ინტეგრირება 7

ადგილობრივ თვითმმართველოში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები..... 8

3. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები ადგილობრივ თვითმმართველობაში..... 11

4. სამოქმედო პრინციპები და პრაქტიკული რჩევები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთათვის 14

სამოქმედო პრინციპები 14

პრაქტიკული რჩევები 16

დანართები 19

დანართი 1. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 19

დანართი 2. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ: მუხლები და განმარტებები 24

დანართი 3. სიდო კონვენცია სოფლად მცხოვრები ქალების უფლებებზე..... 30

დანართი 4. მუნიციპალური სერვისი „ქალთა ოთახი“..... 35

დანართი 5. ცნებების გააზრება 37

1. შესავალი

თქვენს ხელთ არსებული დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისათვის, რათა მათ გაუადვილდეთ საქართველოს კანონმდებლობაში გათვალსწინებული გენდერული თანასწორობის პრინციპების, ნორმებისა და წესების აღსრულება.

საქართველოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტია კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. მისი უმთავრესი დანიშნულებაა, საკანონმდებლო დონეზე სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის უზრუნველყოფა და შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა. ის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ავალდებულებს იყოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გარანტი და იმპლემენტატორი *(დანართი 2. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ).*

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები უნდა იცნობდნენ გენდერული თანასწორობის კანონის ძირითად მოთხოვნებს, რომლებიც მოკლედ არის მოცემული ჩანართ 1-ში, და პრაქტიკაში უნდა ახორციელებდნენ მათ, როგორც ეს აღწერილია ჩანართ 2-ში.

ჩანართი 1. კანონის მუხლები და თვითმმართველობის პასუხისმგებლობები

მუხლი 1: საქართველოს პარლამენტი საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად განსაზღვრავს გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის

შექმნასა და განვითარებას, განიხილავს და ამტკიცებს შესაბამის სტრატეგიას, აკონტროლებს გენდერული თანასწორობის საკითხებზე საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობას;

მუხლი 4: გენდერული თანასწორობის გარანტიები
სახელმწიფო და სამთავრობო სტრუქტურები არიან თანასწორობისა და თავისუფლების გარანტები, ისინი უზრუნველყოფენ ძალადობისაგან დაცვას და მისგან თავისუფალი გარემოს შექმნას, სადაც გარანტირებულია თანასწორი უფლებები და შესაძლებლობები ქალებისა და კაცებისათვის ყველა სფეროში თანაბრად.

მუხლი 5: გენდერულად განცალკევებული სტატისტიკის წარმოება
ამ მუხლის თანახმად, სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა აწარმოონ გენდერულად განცალკევეული მონაცემების შეგროვება. ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების შესახებ განცალკევებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს არსებული უთანასწორობები და მათზე განხორციელდეს შესაბამისი რეაგირება.

მუხლი 8: საინფორმაციო რესურსების თანასწორი ხელმისაწვდომობა
ყველა სახელმწიფო ორგანო ვალდებულია ქალებისა და კაცებისათვის, მათი სქესის მიუხედავად, თანაბრად უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

მუხლი 10: თანასწორობა ოჯახში
კანონი განსაზღვრავს თანასწორობის ვალდებულებას ოჯახურ ურთიერთობებში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის ამ პრინციპის მნიშვნელობის გააზრება და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია როგორც ოჯახში, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე.

მუხლი 13: გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტი ქმნის გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი,

ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და ამავე საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო.

ამ მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვის და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით, მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი განსაზღვრავს შესაბამის გამგეობაში/მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს.

ჩანართი 2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ინდიკატორები

1. გენდერულად განცალკევებული მონაცემების შეგროვება;
2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელობა და საჯარო მოხელეები მოქმედებენ და მუშაობენ გენდერული თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარე;
3. ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას ოჯახის დონეზე, რეაგირებს ოჯახური ძალადობის ფაქტებზე და ეხმარება ძალადობის მსხვერპლთ;
4. ადგილობრივი თვით მმართველობა ინფორმირებულია გენდერული თანასწორობის მიმართულებით ცენტრალური მთავრობის ინიციატივების შესახებ (საკანონმდებლო და საერთაშორისო შეთანხმებები და კონვენციები);
5. არსებობს ადექვატური გაგება ისეთი ტერმინების და კონცეფციების, როგორიცაა: გენდერული პროგრამები, გენდერული ბალანსი, გენდერული ბიუჯეტირება.
6. ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული პოლიტიკა ყალიბდება კვლევებისა და მიუკერძოებელი ინფორმაციის საფუძველზე და არა გენდერული სტერეოტიპების გავლენით;
7. არსებობს ჩამოყალიბებული სტრატეგია, ან ხედვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიცვალოს ქალებისა და კაცების შესახებ ტრადიციული დისკრიმინაციული პრაქტიკა სოფლის მოსახლეობაში.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში გენდერული თანასწორობის მიდგომის ინტეგრირება

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა უნდა იცოდნენ და გაითვალისწინონ იმ პრობლემებისა და ბარიერების არსებობა, რომელიც ქალებს ხელს უშლის აქტიური მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში. ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს შემდეგი საკითხები:

• სოფელში გავრცელებული ინფორმაცია ხშირად ვერ აღწევს ქალებამდე - ენობრივი ბარიერი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ინფორმაციის გავრცელების ადგილი და დრო, რომლებიც ხშირად მამაკაცებზეა მორგებული, ხელს უშლის ქალებს, ჩაერთონ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში;
• ქალების მობილობა (გადაადგილების შესაძლებლობა) შეზღუდულია; ოჯახის საქმეებით დატვირთულობის გამო, ისინი ვერ ახერხებენ სამოქალაქო ჩართულობისათვის გამოძებნონ დრო.
• ქალის და მამაკაცის როლებისა და ფუნქციების არათანაბარი ტრადიციული გადანაწილება, არსებული სტერეოტიპული შეხედულებები ქალების პროფესიის, საქმიანობისა და მათი საჯარო უნარების შესახებ, ხელს უწყობს ქალების გამორიცხვას საზოგადოებრივი აქტიურობიდან, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში სამოქალაქო ჩართულობის არსებული თუ ახალი სტრუქტურები და ფორმები ქალთა და მამაკაცთა თანასწორი გააქტიურებისა და გაძლიერების აუცილებლობას ქმნის. თემის კეთილდღეობას და განვითარებას მთელი საზოგადოების ენერგია და აქტიური ჩართულობა ესაჭიროება. მონაწილეობის გაზრდის მთავარი პრინციპები და ინდიკატორები მოცემულია შემდეგ დიაგრამაში:



ადგილობრივ თვითმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები

ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი კოდექსი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის 5 ფორმას გამოჰყოფს *(თავი XI, მუხლი 85*). მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეთა მონაწილეობის თითოეულ ამ ფორმაში, ახალ საკანონმდებლო ჩარჩოში, დავინახოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მეტი ჩართულობის და, ზოგადად, გენდერული

თანასწორობის პოლიტიკის გატარების ახალი შესაძლებლობები.

1. დასახლების საერთო კრება (იგივე, რაც აქამდე არსებული „სოფლის კრება“). დასახლების საერთო კრების მოწვევას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგებლებთან ერთად, ორგანიზებას უწევს საინიციატივო ჯგუფი. მნიშვნელოვანია, ქალთა მონაწილეობა საინიციატივო ჯგუფში. დასახლების საერთო კრებაზე შესაძლებელია პეტიციის ინიცირება თემისთვის აქტუალურ საკითხზე. დასახლების საერთო კრების მოწვევას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგებლებთან ერთად, ორგანიზებას უწევს საინიციატივო ჯგუფი, რომლის შემადგენლობშიც შედიან ადგილობრივი თემის წარმომადგენლები. მნიშვნელოვანია, ქალთა მონაწილეობა საინიციატივო ჯგუფში. საერთო კრების საქმიანობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა (მუხლი 85.2).

2. პეტიცია არის დოკუმენტი, რომელსაც შეიმუშავებს თემი. მისი მიზანია: მოსაზრებების, პრობლემების, ინიციატივების ჩამოყალიბება და პეტიციის ფორმით ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მიწოდება. პეტიციის ინიცირება შეუძლია თემის საერთო მოსახლეობის მინიმუმ 1 პროცენტს. დასახლების საერთო კრება არის ადგილი, სადაც პეტიციის მომზადების შესახებ მიიღება გადაწვეტილება (მუხლი 86.)

3. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო გამგეობის საკონსულტაციო ორგანოა. მისი წევრები არიან ადგილობრივი მოქალაქეები, ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვით. მის შემადგენლობაში დაცული უნდა იყოს ქალთა და კაცთა თანაბარი მონაწილეობა (მუხლი 86.1)

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში მოსახლეობის ჩართულობის მნიშვნელოვანი ფორმაა. საკრებულოებს აქვთ ვალდებულება უზრუნველყონ, რომ სხდომები იყოს საჯარო და მასზე დასწრება თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი როგორც მამაკაცების, ისე ქალებისთვის (მუხლი 87).

5. მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა. ამ ტიპის ანგარიშების წარდგენა უნდა მოხდეს ყოველი წლის 1 ნოემბრამდე. გამგეობამ და საკრებულომ უნდა უზრუნველყონ მოქალაქეთა დასწრება ამ მოსმენებზე (გენდერული ბალანსის დაცვით) და ასევე, უნდა გამოაქვეყნონ ანგარიშები (მუხლი 88). აღნიშნული ანგარიშები უნდა შეიცავდეს გენდერულად განცალკევებულ სტატისტიკას და უნდა იყოს გენდერულად სენსიტიური.

2016 წლის მაისში გენდერული თანასწორობის კანონში განხორციელებულმა ცვლილებამ მოქალაქეთა თვითმმართველობაში ჩართულობისა და მონაწილეობის კიდევ ერთი ფორმა განსაზღვრა - **მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო,** რომელიც მონიტორინგს უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერულ პოლიტიკას. საბჭოს წევრები უნდა იყვნენ როგორც ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი საჯარო პირები (*იხ. სახელმძღვანელოს შემდეგი თავი),* ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და აქტიური ქალები, რომლებიც თემის ინტერესებს წარმოადგენენ. მუნიციპალური საბჭოები კოორდინაციაში უნდა იყვნენ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან.

3. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები ადგილობრივ თვითმმართველობაში

გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე

გამგებელი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების თავია. საკრებულოს თავმჯდომარე ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს უწევს ხელმძღვანელობას. ორივე თანამდებობა არჩევითია. ეს პირები პასუხს აგებენ გენდერული თანასწორობის კანონის აღსრულებაზე მათ მუნიციპალიტეტში.

მუნიციპალური გენდერული თანამშრომლობის საბჭო

მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მუნიციპალიტეტის გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, შექმნილია მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო.

გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე, ე.წ. გენდერული მრჩეველი

2013 წლის სექტემბერში საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ რეკომენდაცია გაუწია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გენდერული მრჩევლის დანიშვნას. გენდერული მრჩეველის პასუხისმგებლობაა: გენდერული პრობლემების გამოკვეთა და სწავლებითა და ინფორმაციის მიწოდებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა გენდერული მგრძნობელობის გაზრდაზე ზრუნვა. მათი საქმიანობა მუნიციპალიტეტის გამგეობის წესებით რეგულირდება. გენდერული მრჩეველი პასუხისმგებელია თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების გენდერულ სისწორეზე და გენდერულად დაცალკევებული მონაცემების

შეგროვებაზე. იგი არის საკონტაქტო პირი ადგილობრივ თვითმმართველობასა და ქალებს შორის.

გამგებლის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში

გამგებლის წარმომადგენელი ადგილობრივი თვითმმართველობის წევრია, რომელიც ყველაზე მეტად არის დაკავშირებული თემის (სოფლის) ცხოვრებასთან. გამგებლის წარმომადგენელი ატარებს დასახლების საერთო კრებებს. იგი მუშაობს უშუალოდ თემთან, ყოველდღიურად ხვდება მოქალაქეებს და აგროვებს ზუსტ ინფორმაციას, მათ შორის, ქალებისა და კაცების საჭიროებების შესახებ. იგი ეხმარება თემს საკუთარი მოთხოვნები და სურვილები მიიტანოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებამდე. გამგებელი იყენებს თავის წარმომადგენელს, რათა მიიტანოს ინფორმაცია თითოეულ მოსახლემდე. გამგებლის წარმომადგენელი ვალდებულია წაახალისოს ქალების და მამაკაცების თანაბარი ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში, მათ შორის, დასახლების საერთო კრებაში.

მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახის“ მენეჯერი

„ქალთა ოთახი“ საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, გამგეობაში. მისი საშუალებით ხელი ეწყობა ქალებისთვის ახალი პროგრამების, სერვისების და სხვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, აგრეთვე სოფლად მცხოვრები ქალების მონაწილეობას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. „ქალთა ოთახის“ მენეჯერი გამგეობის თანამშრომელია. იგი მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და გენდერულ მრჩეველთან ახლო კონტაქტში. მისი საქმეა „ქალთა ოთახის“ ფუნქციონირების გაძღოლა, ვიზიტორების აღნუსხვა და დაკვალიანება, ინფორმაციის თავმოყრა და გავრცელება, მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ტრენინგი, „ქალთა ოთახის“ მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვა და მოსახლეობის ინფორმირება მათ შესახებ.

*ქვემოთ მოყვანილი **გრაფიკული ცხრილი** თავს უყრის გენდერული თანასწორობის გატარებაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა პასუხისმგებლობებს:*

მუნიციპალიტეტის გამგებელი

ლეგიტიმაცია:
არჩეულია ადმ. ერთეულის მოსახლეობის მიერ

პასუხისმგებლობა და სამუშაო ინსტრუმენტები

ახორციელებს გენდერულად სენსიტიურ ადგილობრივ პოლიტიკას; ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობის მიდგომების ინტეგრირებას; იღებს გენდერული მრჩევლისა და "ქალთა ოთახის" მენეჯერის კონსულტაციებს. ზრუნავს ოჯახური ძალადობის ფაქტების გამოვლენაზე და გენდერული ძალადობის პრევენციაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ლეგიტიმაცია:
არჩეულია მოსახლეობის და საკრებულოს წევრების მიერ

პასუხისმგებლობა და სამუშაო ინსტრუმენტები

ამოწმებს ადგილობრივი რეგულაციების გენდერულ მგრძნობელობას; ხელს უწყობს ქალების მონაწილეობას საკრებულოს და დასახლების საერთო კრებებში; იღებს გენდერული მრჩევლის და "ქალთა ოთახის" მენეჯერის კონსულტაციებს. ზრუნავს ოჯახური ძალადობის ფაქტების გამოვლენაზე და მსხვერპლის დაცვაზე.

გამგებლის წარმომადგენელი

ლეგიტიმაცია:
დანიშნული საჯარო მოხელე

პასუხისმგებლობა და სამუშაო ინსტრუმენტები

მუშაობს თემთან; პასუხისმგებელია თემის პრობლემების და საჭიროებების გამოვლენაზე; ხელს უწყობს ქალების მონაწილეობას დასახლების კრებებში; თვალყურს ადევნებს, რომ დროულად გამოვლინდეს ოჯახური ძალადობის ფაქტები.

გენდერული მრჩეველი

ლეგიტიმაცია:
დანიშნულია მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ

პასუხისმგებლობა და სამუშაო ინსტრუმენტები

პასუხისმგებელია, მოიძიოს და წინ წამოსწიოს გენდერთან დაკავშირებული საკითხები; ზრუნავს ადგ. თვითმმართველობის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებაზე; აგროვებს ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციას და აწვდის რეაგირებისთვის ადგ. ხელისუფლებას.

"ქალთა ოთახის" მენეჯერი

ლეგიტიმაცია:
დანიშნულია მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ

პასუხისმგებლობა და სამუშაო ინსტრუმენტები

უზრუნველყოფს "ქალთა ოთახის" ფუნქციონირებას; გენდერული მონაცემების და ინფორმაციის შეგროვება-გავრცელებას; არის საკონტაქტო პირი მუნიციპალიტეტსა და ქალებს შორის; მუშაობს ადგ. ხელისუფლების პირთა ცნობიერების ამაღლებაზე ქალთა საჭიროებებთან დაკავშირებით.

4. სამოქმედო პრინციპები და პრაქტიკული რჩევები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთათვის

ამ თავში მოცემული **სამოქმედო პრინციპები** და **პრაქტიკული რჩევები** შეიცავს მარტივ ნაბიჯებს/წესებს, რომლებიც უნდა დაიცვან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, რათა უზრუნველყონ მამაკაცთა და ქალთა თანაბარი მონაწილეობა თვითმმართველობაში და ხელი შეუწყონ მათი სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდას. ისინი ეხება მათ ქცევას და დამოკიდებულებებს, ასევე კრებების და სხვა საჯარო შეხვედრების ორგანიზებას, რაც მოქალაქეებთან მათი ურთიერთობის ძირითად საკომუნიკაციო ინსტრუმენტს წარმოადგენს.

სამოქმედო პრინციპები

სამოქმედო პრინციპებში *გაერთიანებულია ის ღირებულებები, ნება და ცოდნა, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს თვითმმართველობის წარმომადგენელთა მოქმედებას ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.*

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები უნდა იყვნენ გენდერული თანასწორობის პრინციპების ერთგულნი და უნდა გააკეთონ ყველაფერი, რათა უზრუნველყონ თანასწორობა თავიანთ თემსა თუ სოფლებში.

2. ქალთა თანასწორი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ოჯახსა და თემის დონეზე გაზიარებული ღირებულება უნდა იყოს ჩვენს საზოგადოებაში.

3. სოფლად მცხოვრები ქალებისა და მამაკაცების როლებსა და საჭიროებებს შორის განსხვავების დადგენა უნდა მოხდეს გენდერულად დაცალკევებულ, ზუსტ სტატისტიკაზე და მონაცემებზე დაყრდნობით.

4. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სამართლიანობა ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბრად.

5. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს, რომ გოგონებსა და ბიჭებს განათლების მიღებაზე ხელი თანაბრად მიუწვდებოდეთ.

6. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ოჯახებს, სადაც ოჯახის უფროსი ქალია, რათა მათ ინფორმაციაზე და საერთო სიკეთეებზე სრულფასოვნად მიუწვდებოდეთ ხელი.

7. უნდა არსებობდეს ზუსტი სტატისტიკა და ინფორმაცია იმ ოჯახების რაოდენობის შესახებ, სადაც ოჯახის უფროსი ქალია.

8. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მხარი უნდა დაუჭიროს ქალების იმ ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს მათ პიროვნულ განვითარებას და აძლიერებს მათ როლსა და გავლენას თემში.

9. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა შეისწავლოს და შეაფასოს ის კულტურული თუ ტრადიციული წნეხი, რომელიც ქალებს ხელს უშლის პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ სოფლის კრებებსა და თემისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში.

10. შეხვედრებისა და შეკრებების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის მიზეზები, რის გამოც

შესაძლოა ქალები (ან მამაკაცები) ვერ დაესწრნენ მათ. ამაში კი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შემდეგ თავში მოცემული პრაქტიკული რჩევები დაეხმარება.

11. შეხვედრების, კრებების და სხვა აქტივობების დროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა შექმნას ისეთი გარემო, სადაც ორივე სქესის წარმომადგენელი მოქალაქეები დაცულნი იქნებიან სიტყვიერი და ქცევითი ზეწოლისგან და ძალადობისგან.

პრაქტიკული რჩევები

სათემო შეხვედრებისა და კრებების ჩატარებისთვის

თემის/სოფლის კრებებში და შეხვედრებში ქალებისა და მამაკაცების თანასწორი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით კი გამგებლის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციულ ერთეულებში, ზედმიწევნით უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

1. როდესაც შეკრება, ან რაიმე სოფლისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიება მზადდება დარწმუნდით, რომ ქალებმაც წინასწარ იციან ამის შესახებ. ამისთვის გამოიყენეთ (შექმენით) ქალთა საინციატივო ჯგუფები; გამოიყენეთ ქალებისთვის მისაწვდომი და თქვენი წესებისთვის მისაღები ინფორმაციის გავრცელების ფორმები (ბავშვები, მეზობლები, განცხადება სკოლაში ან სხვა ქალთა თავშეყრის ადგილას და სხვა);

2. აღრიცხეთ დამსწრეები;

3. სიტყვიერად წაახალისეთ ოჯახები, რომელთა წევრი ქალებიცა და კაცებიც ესწრებიან შეკრებებს;

4. თუ კულტურული ნორმები საჯარო შეხვედრებზე და კრებებზე ქალებისა და კაცების ერთად ყოფნას ზღუდავს, წაახალისეთ ოჯახური წყვილების მონაწილეობა;

5. არის საკითხები, რომელთა განხილვისთვის პრინციპი: „ოჯახიდან/ კომლიდან ერთი წევრი“ არ არის ოპტიმალური. იფიქრეთ შესაძლებლობაზე, რომ ადამიანებს მოეთათბიროთ როგორც ერთმანეთისგან განსხვავებულ ინდივიდებს: ქალებს, მამაკაცებს, ახალგაზრდებს, ასაკოვნებს, მეტი ან ნაკლები ეკონომიკური შესაძლებლობების მქონეს, დაოჯახებულს ან დაუოჯახებელს. გახსოვდეთ, რომ თუ მხოლოდ ოჯახურ პრინციპს დაეყრდნობით, თქვენ, მაგალითად, ვერასოდეს გაიგებთ დასაოჯახებელი 35 წლის ქალის აზრს და ვერ გამოიყენებთ მის შესაძლებლობებს პრობლემის გადაწყვეტაში.

6. ჩაატარეთ ღონისძიება დღის ისეთ დროს, როდესაც ქალები შეძლებენ მოსვლას, ჰკითხეთ მათ წინასწარ ამის შესახებ; გაითვალისწინეთ როდისაა ქალი უფრო დატვირთული მეურნეობით, საქონლის მოვლით, ბავშვებით.

7. ხელი შეუწყეთ ისეთ გარემოს, რომელიც თქვენი ტრადიციებიდან და კულტურიდან გამომდინარე მისაღები, უსაფრთხო და არადამამცირებელი იქნება ორივე სქესისთვის;

8. ნუ შექმნით წინააღმდეგობას, თუ ქალები (მით უფრო მამაკაცები) შეკრებაზე თავიანთი ბავშვებით მოვლენ;

9. საგანგებო ყურადღება გამოიჩინეთ იმ ქალების მონაწილეობის მიმართ, რომლებიც ოჯახის მარჩენალები არიან; ისინი ორმაგად არიან დატვირთულები, თუმცა სათქმელიც მეტი აქვთ;

10. ნუ ჩათვლით, რომ კაცის მიერ გამოთქმული აზრი მისი ოჯახის წევრი ქალების აზრსა და შეხედულებებს მთლიანად გამოხატავს. წაახალისეთ ქალები, რომ თავიანთი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები თავადვე გაუზიაროონ აუდიტორიას.

11. როდესაც სოფლისთვის მნიშვნელოვანი საკითხი წყდება, დარწმუნდით, რომ სხვადასხვა სოციალური ფენის და ასაკის ქალებსაც შეუძლიათ აზრის გამოთქმა.

12. ნებისმიერ საქმეს, რომელსაც დაგეგმავთ, როგორც წესი, შემსრულებლები და მაკონტროლებლები სჭირდება. შეეცადეთ, როლები ისე გაანაწილოთ, რომ ორივე ჯგუფში ქალებიცა და მამაკაცებიც დაახლოებით თანაბრად იყვნენ წარმოდგენილნი.

დანართები

დანართი 1. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

თავი XI. მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

მუხლი 85. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტიები და ფორმები

1. მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია:

ა) დასახლების საერთო კრება;

ბ) პეტიცია;

გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;

დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;

ე) მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა

5. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ამ კანონით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 85.1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით განახორციელონ ღონისძიებები თავიანთი საქმიანობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებისათვის.

მუხლი 85.2. დასახლების საერთო კრება

1. დასახლების საერთო კრება (შემდგომ – საერთო კრება) არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიციირების პროცესებში ქმედით ჩართულობას.

7. საერთო კრება უფლებამოსილია, თავისი საქმიანობის წარმართვის და მისი ხელშეწყობის მიზნით, საკუთარი შემადგენლობიდან აირჩიოს საერთო კრების რჩეული. საერთო კრების რჩეულის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს შესაბამისი საერთო კრების წევრთა არანაკლებ 5%-ს.

10. საერთო კრების საქმიანობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა.

მუხლი 85.3. დასახლების საერთო კრების უფლებამოსილება

1. საერთო კრება უფლებამოსილია:

ა) განიხილოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხები და მუნიციპალიტეტის

ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი წინადადებები;
ბ) განიხილოს შესაბამის დასახლებაში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და მუნიციპალიტეტის ორგანოებს წარუდგინოს დასაბუთებული შენიშვნები და წინადადებები;
გ) განიხილოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებული პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი შენიშვნები და წინადადებები;
დ) ორგანიზება გაუწიოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, კერძოდ, დასახლების ტერიტორიის დასუფთავებაში, საქველმოქმედო საქმიანობაში, დასახლების ინფრასტრუქტურის შეკეთებასა და მოწესრიგებაში და სხვა იმ სფეროებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართოს მუნიციპალიტეტის ორგანოებს;
ე) მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის წარდგენის შესახებ;

მუხლი 85.4. დასახლების საერთო კრების მოწვევის წესი
1. საერთო კრების მოწვევის ინიცირების უფლება აქვთ:
ა) შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ს;
ბ) მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს – საკუთარი ინიციატივით ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით;
გ) საერთო კრების რჩეულს.

მუხლი 85.5. დასახლების საერთო კრების საქმიანობის წესი
1. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო კრების წევრთა არანაკლებ 20%-ისა. საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა რეგისტრაციის ორგანიზებას უზრუნველყოფს/ უზრუნველყოფენ საინიციატივო ჯგუფი ან/და

მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის უფლებამოსილი მოხელე ან/და საერთო კრების წევრები. რეგისტრაციისას მიეთითება საერთო კრების წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი და ხელმოწერა.

მუხლი 86. პეტიცია

1. პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს:
   ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს;
   ბ) საერთო კრებას.
2. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია პეტიციის წარდგენის უფლება მიანიჭოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფრო ნაკლებ რაოდენობას.
3. საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთო კრების სახელით პეტიციის წარდგენას უზრუნველყოფს საერთო კრების რჩეული ან/და საერთო კრების მიერ უფლებამოსილი პირი.
4. პეტიცია იწერება და შეიტანება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე. პეტიციის სახით შეიძლება წარდგენილ იქნეს:
   ა) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;
   ბ) მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;
   გ) მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.
5. პეტიცია უნდა შეიცავდეს:
   ა) შესაბამისი განცხადების ტექსტს;
   ბ) პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების (არაუმეტეს 3 პირისა), სახელს, გვარს, მისამართს, საკონტაქტო

ტელეფონის ნომერს (არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს;

გ) პეტიციის წარდგენის თარიღს;

დ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების სიას;

მუხლი 86.1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის/რაიონის გამგებლის სათათბირო ორგანო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. ამ კანონის შესაბამისად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი/რაიონის გამგებელი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით.

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნა.

მუხლი 87. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის, აგრეთვე მთავრობის სხდომები საჯაროა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებს.

მუხლი 88. მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა

1. მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს შეუზღუდავად დაესწროს მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საჯარო ანგარიშების განხილვას.

დანართი 2. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ: მუხლები და განმარტებები

მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გენდერი – სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე;

გ) დისკრიმინაცია – ამ პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები;

დ) პირდაპირი დისკრიმინაცია – ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას სქესის ნიშნით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ მეორე სქესის

პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად;

ე) ირიბი დისკრიმინაცია – ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს სქესის ნიშნით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ მეორე სქესის პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად;

ვ) განსაკუთრებული ღონისძიება – ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს დისკრიმინაციული შედეგების გამოსწორებას და მიმართულია პირთა წრისადმი, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას გენდერული თავისებურებებიდან გამომდინარე;

ზ) თანასწორი შესაძლებლობები – ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის მიღწევის საშუალებებისა და პირობების სისტემა;

თ) თანასწორი მოპყრობა – განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარება, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

ქვემოთ მოგვყავს ამონარიდები კანონიდან (კანონის საბოლოო რედაქტირებული ვარიანტიდან[1]), რომლებიც განსაკუთრებით გასათვლისწინებელია ადგილობრივ დონეზე ქალთა თანასწორი მონაწილეობის თვალსაზრისით და რომლებიც უშუალოდ ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობას კანონის იმპლემენტაციის საქმეში.
კანონის მეორე თავის მუხლ 4-ში ჩამოთვლილია ის სფეროები, სადაც სახელმწიფო უზრუნველყოფს და გარანტად უდგება ქალისა და კაცის თანასწორ უფლებებს:

თავი II. მუხლი 4. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები

1. სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.
2. გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით, დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფილია:

ა) ქალისა და მამაკაცის თანასწორი ინდივიდუალური უფლებები და თავისუფლებები;

ბ) ქალისა და მამაკაცისათვის განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა და განათლების თავისუფალი არჩევანი სწავლების ყველა ეტაპზე;

გ) მეუღლეთა უფლებრივი თანასწორობა;

დ) შვილებთან დაკავშირებული თანასწორი უფლებები და მოვალეობები;

საქართველოს 2014 წლის 2 მაისის კანონი №2394 - ვებგვერდი, 07,05,2014წ.

ე) ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლება-მოვალეობები – იყვნენ ბავშვთა მეურვეები, მზრუნველები, რწმუნებულები, მშვილებლები;

ვ) ოჯახსა და საზოგადოებაში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა;

ზ) პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფლად არჩევა, თანამდებობრივი დაწინაურება, პროფესიული მომზადება/გადამზადება;

თ) საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება პროფესიული ნიშნის, უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;

ი) თანასწორი მოპყრობა ქალისა და მამაკაცის მუშაობის ხარისხის შეფასებისას;

კ) თანაბარი სოციალური უზრუნველყოფა ქალისა და მამაკაცის ავადმყოფობისას და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში;

ლ) თანასწორი შესაძლებლობების შექმნა ქალისა და მამაკაცის ჯანმრთელობის დაცვისას;

მ) ქალისა და მამაკაცისათვის თანასწორი შესაძლებლობების შექმნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისას.

3. საქართველოს კანონმდებლობა გენდერული თანასწორობის შესახებ ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ამ კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებს.

მუხლი 5. გენდერულ სფეროში სტატისტიკის წარმოება

„გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში შეიტანება სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემები.“ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებისთვის აუცილებელია მონაცემების შეგროვება და გაანალიზება ცალ-ცალკე ქალების (და გოგონების) და მამაკაცების (ბიჭების) შესახებ. სწორედ ამ მონაცემების შედარებისას ხდება გასაგები უთანასწორობის ხარისხი და სფეროები. ამიტომ კანონი ამახვილებს ყურადღებას გენდერული სტატისტიკის წარმოებაზე.

მუხლი 6. გენდერული თანასწორობა შრომითი ურთიერთობებისას გამოჰყოფს შრომითი ურთიერთობებისას იძულების და სექსუალური შევიწროების დაუშვებლობას, დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას ორივე სქესისთვის.

კანონი თვითმმართველობას გენდერულ თანასწორობის გატარებაზე პირდაპირ აკისრებს ვალდებულებას. ასევე **მუხლი 8. საინფორმაციო რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა** თანახმად : „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ვალდებული არიან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყონ დაცული საჯარო ინფორმაციის მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირის სქესის ნიშნით განსხვავებულობის მიუხედავად.“
ნებისმიერი დონის გადაწყვეტილების მიღებაში ქალთა მონაწილეობის უფლება იწყება ოჯახში უფლებების თანასწორობით. ამიტომ კანონი ხაზს უსვამს საოჯახო ურთიერთობაში თანასწორობის უზრუნველყოფის აუცილებლობას. განსაკუთრებით გამოვყოფთ ორ სფეროს:

მუხლი 10. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საოჯახო ურთიერთობებში

1. საოჯახო ურთიერთობებში , ქორწინებისა და განქორწინების დროს ქალი და მამაკაცი სარგებლობენ თანასწორი პირადი და ქონებრივი უფლებებით, მათ შორის, გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევის უფლებით და ეკისრებათ თანასწორი მოვალეობები. საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით დისკრიმინაცია ან უპირატესობის მინიჭება.

2. ოჯახში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლება აქვთ, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის საკითხები.

კანონის **თავი III გენდერული თანასწორობის დაცვაზე ზედამხედველობას** ეხება. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თავის მე 13 მუხლი, სადაც გაწერილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვალდებულებები გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით:

მუხლი 13. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამები და გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

3. სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უწევენ ორგანიზაციულ, საინფორმაციო და სხვა სახის დახმარებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მათ საქმიანობაში დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტში, გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, ქმნის მუნიციპალურ გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო.

5. მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვის და

ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი განსაზღვრავს შესაბამის გამგეობაში/მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს.

დანართი 3. სიდო კონვენცია სოფლად მცხოვრები ქალების უფლებებზე

მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები მხედველობაში იღებენ სოფლად მცხოვრები ქალების განსაკუთრებულ პრობლემებს და მათ მნიშვნელოვან როლს თავიანთი ოჯახების ეკონომიკური განვითარების საქმეში, მათ შორის, საქმიანობას მეურნეობის არასასაქონლო დარგებში, და მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას, სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ ამ კონვენციის დებულებათა გამოყენების უზრუნველსაყოფად.

2. მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა შესაბამის ზომას სოფლის რაიონებში ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის, რათა მამაკაცისა და ქალის თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ქალთა მონაწილეობა რაიონების განვითარებასა და ასეთი განვითარებისაგან სარგებლობის მიღებაში, კერძოდ, ასეთ ქალებს აღჭურვავენ უფლებით:

ა. ყველა დონეზე მონაწილეობდნენ განვითარების გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში;

ბ. ხელი მიუწვდებოდეთ სამედიცინო მომსახურეობის შესაბამის საშუალებებზე, ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე ინფორმაციის, კონსულტაციებისა და მომსახურების ჩათვლით;

ც. უშუალოდ იღებდნენ სარგებელს სოციალური დაზღვევის პროგრამებისგან;

დ. იღებდნენ ყველა სახის ფორმალურ და არაფორმალურ მომზადებასა და განთლებას, წიგნიერების ჩათვლით, აგრეთვე,

სარგებლობდნენ სათემო მომსახურების და საკონსულტაციო მომსახურების ყველა საშუალებით, ტექნიკური მომზადების დონის ამაღლების მიზნით;

ე. ქმნიდნენ თვითდახმარების ჯგუფებსა და კოოპერატივებს, ეკონომიკურ შესაძლებლობათა თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით დაქირავებული შრომის ან თვითდასაქმების საშუალებით;

ფ. მონაწილეობდნენ ყველა სახის კოლექტიურ საქმიანობაში;

გ. ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ სასოფლო-სამეურნეო კრედიტი და სესხები, ისარგებლონ მარკეტინგის სისტემით, შესაბამისი ტექნოლოგიითა და მიწისა და აგრარულ რეფორმებში, აგრეთვე, ხელახლა დასახლების გეგმებში თანაბარი სტატუსით;

ჰ. სარგებლობდნენ ცხოვრების სათანადო პირობებით, განსაკუთრებული საბინაო, სანიტარული, ელექტრო და წყალმომარაგებით, აგრეთვე ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობის მომსახურებით.

გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ კომიტეტის (CEDAW კომიტეტის) რეკომენდაციები საქართველოსთვის

კონვენციაზე ყველა ხელისმომწერი სახელმწიფო ვალდებულია წარუდგინოს გაეროს კომიტეტს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ანგარიშები, ხოლო კომიტეტი, თავის მხრივ იძლევა რეკომენდაციებს, თუ რა ზომები უნდა გატარდეს ქალების მიმართ დისკრიმინაციის და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

კომიტეტმა 2014 წლის 8 ივლისს, მოისმინა რა საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული პერიოდული ანგარიში ქალთა დისკრიმინაციის შესახებ, შეიმუშავა დასკვნითი შენიშვნები.

აქ მოგვყავს ამონაკრები „სიდო“ (CEDAW) კომიტეტის რეკომენდაციებიდან 5 პარაგრაფის სახით, რომლებიც ჩვენი სახელმძღვანელოს მიზნების შესატყვისია: ეხება თვითმმართველობის პასუხისმგებლობებს, ეხმაურება ადგილობრივ დონეზე ქალთა მონაწილეობის სიმცირეს და განსაკუთრებით

აქტუალურია სოფლად მცხოვრები ქალებისთვის გენდერული თანასწორობის კუთხით. [2]

გვინდა გამოვყოთ ის ფაქტი, რომ CEDAW კომიტეტის ბოლო რეკომენდაციებში, როგორც ერთ-ერთი მიღწევა საქართველოში, აღნიშნულია „ქალთა ოთახები, რომლებიც მუნიციპალიტეტებში 2013 წელს შეიქმნა, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც სათემო საკითხების განსახილველი პლატფორმა“. (პარაგრაფი 32) ქალთა ოთახები მუნიციპალიტეტებში.

დროებითი სპეციალური ზომები

„17. კომიტეტი სახელმწიფო მხარეს რეკომენდაციას აძლევს, მიიღოს დროებითი სპეციალური ზომები, მათ შორის კანონით დადგენილი კვოტები, კონვენციის მუხლი 4 (1)-ის და კონვენციის # 25 (1992) ზოგადი რეკომენდაციების შესაბამისად, როგორც აუცილებელი სტრატეგიის ნაწილი ქალთა არსებითი თანასწორობის მიღწევის დასაჩქარებლად. იგი ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ სახელმწიფო მხარემ დააწესოს არახელსაყრელ პირობებში მყოფ (მაგალითად, სოფლად მცხოვრები ქალები [3]) და მარგინალიზირებულ ქალებზე მიმართული დროებითი სპეციალური ზომები, შეაფასოს ამგვარი ზომების ეფექტი და მისი მონაცემები, მათ შორის გენდერული სტატისტიკა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს.“

სტერეოტიპები და უარყოფითი პრაქტიკა

19. კომიტეტი სახელმწიფოს აძლევს რეკომენდაციას გააძლიეროს ძალისხმევა, რათა დაიმსხვრეს საზოგადოებასა და ოჯახში ქალების და კაცების როლსა და პასუხისმგებლობაზე არსებული სტერეოტიპები და ხელი შეეწყოს ქალების თანასწორობას. კომიტეტი

[2] დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შესახებ: http://www.ginsc.net/home.php?pageNum_documents=0&totalRows_documents=16&option=libdoc&type=doc05&author=0&lang=en

[3] ჩამატებულია მე 16 პარაგრაფიდან

აგრეთვე სახელმწიფოს უწევს რეკომენდაციას შეისწავლოს ნაადრევი ქორწინებების რაოდენობა და შედეგები, მიიღოს საჭირო ზომები, რათა მოხდეს გოგონათა ნაადრევი ქორწინების პრევენცია ყველა ეთნიკურ ჯგუფში; სამიზნე საზოგადოებას, მშობლებს, რელიგიურ ლიდერებს მიეწოდოთ ინფორმაცია და აუმაღლდეთ ცნობიერება გოგონების ნაადრევი ქორწინებების უარყოფით გავლენაზე, განსაკუთრებით კი მათ ჯანმრთელობასა და განვითარებაზე.

მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში

25. კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს ქალთა სრული და თანაბარი მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით მაღალ და გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე, მათ შორის ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში. განსაკუთრებით, რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოს, შემოიღოს სავალდებულო კვოტები პოლიტიკური პარტიებისთვის, რათა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ქალთა წარმომადგენლობა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში.

სოფლად მცხოვრები ქალები

32. კომიტეტისთვის მნიშვნელოვანია ქალთა ოთახები, რომლებიც მუნიციპალიტეტებში 2013 წელს შეიქმნა და შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც სათემო საკითხების განსახილველი პლატფორმა. მიუხედავად ამისა, კომიტეტი უარყოფითად აფასებს იმ უთანასწორობას, რაც არის ქალაქში და სოფლად მცხოვრებ ქალებს შორის, და რაც ეხება მათ წვდომას სოციალურ და ჯანდაცვის სერვისებზე, ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ისევე როგორც მათ მონაწილეობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათ შორის გადაწყვეტილების მიღება სოფლის მეურნეობის სფეროში. კომიტეტისთვის, ასევე, შემაშფოთებელია ბავშვის მოვლის საშუალებების (საბავშვო ბაღები) სიმცირე სოფლად, ისევე როგორც თავშესაფრების და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სხვა სერვისების დეფიციტი. გარდა ამისა, კომიტეტს

არ აქვს გენდერულ ჭრილში შედგენილი მონაცემები მიწის საკუთრების შესახებ.

33. კომიტეტი სახელმწიფოს აძლევს რეკომენდაციას. ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს სოფლად მცხოვრები ქალების ადექვატური წვდომა სოციალურ, ჯანდაცვის და სხვა საბაზისო სერვისებთან, ეკონომიკურ შესაძლებლობებთან და თანაბარ პირობებში მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში,

- განსაკუთრებით მონაწილეობა მიიღონ სოფლის მეურნეობის სფეროში გადაწყვეტილების მიღებაში.
- კომიტეტი აგრეთვე სახელმწიფოს აძლევს რეკომენდაციას, რომ ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის თავშესაფრებზე ხელმისაწვდომობა.
- ასევე იძლევა რეკომენდაციას, რომ შემდეგი საანგარიშო პერიოდისთვის სახელმწიფომ კომიტეტს მიაწოდოს გენდერულ ჭრილში შედგენილი მონაცემები მიწის საკუთრების შესახებ.

40. ასევე, დამატებით, რეკომენდაციას იძლევა, რომ მისი დასკვნითი შენიშვნები გავრცელდეს შესაბამისი ფორმით ადგილობრივი თემების დონეზე, რათა შესაძლებელი იყოს მათი შესრულება.

დანართი 4. მუნიციპალური სერვისი „ქალთა ოთახი“

ახალი მუნიციპალური სერვისი “ქალთა ოთახი” - ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ღია სივრცე, საინფორმაციო-საკონსულტაციო რესურსცენტრი, რომლის მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრებ ქალებს, მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში; გაზარდოს და წაახალისოს ქალთა თანამონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (საკრებულოს, მუნიციპალიტეტის, სოფლის კრებებში მონაწილეობა).



“ქალთა ოთახი” უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვას და მისი ქმედითუნარიანობისა და ეფექტურობის ზრდას.

“ქალთა ოთახის” საშუალებით მუნიციპალიტეტი საკუთარ მოსახლეობას (განსაკუთრებით კი ქალებს და ბავშვებს) სთავაზობს როგორც საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევას, ასევე თავისუფალ სივრცეს დასვენებისა და სოციალური აქტივობისთვის.

“ქალთა ოთახის”, როგორც სერვისის, მომხმარებლები არიან:

- ✓ ადგილობრივი მოსახლეობა (ქალები, მამაკაცები, ახალგაზრდები, ბავშვები);
- ✓ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები;
- ✓ არასამთავრობო ორგანიზაციები, ასოციაციები და ა.შ.
- ✓ კერძო სექტორი.

“ქალთა ოთახი” განთავსებულია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე და მის ვიზიტორებს შეუძლიათ უფასოდ ისარგებლონ:

- ✓ კომპიუტერითა და ინტერნეტით;
- ✓ ბიბლოთეკით;
- ✓ საბავშვო კუთხით;
- ✓ სივრცით, სხვადასხვა შეხვედრების მოსაწყობად;
- ✓ საკონსულტაციო სერვისით.

ახალი მუნიციპალური სერვისის “ქალთა ოთახის” მიზნებია:

- დაეხმაროს მუნიციპალიტეტს და მის თანაშრომლებს (მაგ. სოფლის რწმუნებულებს) გენდერული თანასწორობის პრინციპების გააზრებასა და შესაბამისი კანონმდებლობის იმპლემენტაციაში;
- ხელი შეუწყოს ქალთა მონაწილეობის გაზრდას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- უზრუნველყოს მეტი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო და ადგილობრივ სერვისებზე და პროგრამებზე, რომლებსაც საგრძნობლად შეუძლიათ შეცვალონ მათი ცხოვრების და კეთილდღეობის დონე (მაგ. მიაწოდონ ინფორმაცია, ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის პროგრამებზე და ასე შემდეგ);
- გაზარდოს ქალების (და ასევე მამაკაცების) ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა მათთვის უფასო ინტერნეტის და ბიბლიოთეკის შეთავაზებით.
- დაეხმაროს ქალებს მათი მოსაზრებების და პოზიციების ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიტანა-დაფიქსირებაში;
- წაახალისოს ქალთა ინიციატივები, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი საჭიროებების მოგვარებაზე;
- მუნიციპალიტეტის დახმარებით განახორციელოს მცირე პროექტები, რომლებიც ქალთა გაძლიერებისკენ არის მიმართული (მაგ. ენის შემსწავლელი კურსები, ახალგაზრდა დედების

კურსები, კომპიუტერის შემსწავლელი კურსები და ა.შ.)

“ქალთა ოთახის” მენეჯერს (თანამშრომელს) არჩევს და ნიშნავს მუნიციპალიტეტი.
საქართველოს 19 მუნიციპალიტეტში უკვე გახსნილია 19 „ქალთა ოთახი“.

დანართი 5. ცნებების გააზრება



რა არის გენდერი?

გენდერი სოციალური სქესია. იგი აღნიშნავს ქალებსა და მამაკაცებს და იმ თვისებებს, ქცევას, როლებს, ფუნქციებს, უფლებებს, რომლებიც ასოცირდება საზოგადოებაში მათ სქესთან. გენდერი დამოკიდებულია და ყალიბდება სოციალურ და კულტურულ გარემოში. გენდერი სოციალური ახსნაა ქალებსა და კაცებს შორის არსებული განსხვავებების.

თუ კი სქესი დაკავშირებულია ფიზიკურ განსხვავებებთან მამაკაცსა და ქალს შორის, ცნება გენდერი ეხება ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ მახასიათებლებს. ასევე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ სქესი უცვლელია, ხოლო გენდერი, პირიქით იცვლება, რადგან შეიძლება შეიცვალოს ქალისა თუ კაცის მდგომარეობა საზოგადოებაში, გაიზარდოს ან შემცირდეს მათი უფლებები, ქალებმა და კაცებმა მოჰკიდონ ხელი საქმეებს, რომლებიც ადრე მხოლოდ საპირისპირო სქესისთვის მიიჩნეოდა შესაბამისად - ეს ყოველივე გენდერის ცვლილებას ნიშნავს.

ამრიგად, ადამიანები იბადებიან ქალებად ან მამაკაცებად, მაგრამ მათ ასწავლიან და მათგან მოელიან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, რა ადგილი უნდა დაიკავონ ოჯახსა და საზოგადოებაში, როგორი ურთიერთობები იქონიონ, რა თვისებებია მამაკაცური და ქალური, რა წესებს უნდა დაემორჩილონ და ა.შ. სწორედ ეს აღწერს გენდერს.



გენდერული თანასწორობა

გენდერულ თანასწორობა მიღწეულია, როდესაც საზოგადოებაში ქალის და კაცის, გოგონების და ბიჭების მოთხოვნილებები, საქმეები, მიზნები და შეხედულებები ერთნაირად ფასობს და ერთნაირად არის გათვალისწინებული;

გენდერული თანასწორობის დროს ქალებსა და კაცებს ერთნაირი უფლებები აქვთ მინიჭებული კანონით და ისინი სარგებლობენ ამ თანაბარი უფლებებით, ინაწილებენ რა მოვალეობებს ოჯახში და საზოგადოებაში; ქალებსა და კაცებს თანაბრად ეპყრობიან; მათ ექმნებათ განათლების, შრომისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები; მათთვის თანაბრად ხელმისაწვდომია ინფორმაცია, სამსახურები და დასაქმების სხვადასხვა შემოთავაზებები, დახმარების და განვითარების პროგრამები; ისინი თანაბარ მონაწილეობას იღებენ და თანაბარი წვლილი შეაქვთ სხვადასხვა დონის გადაწყვეტილებებში, დაწყებული საოჯახო გადაწყვეტილებებიდან, დამთავრებული მაღალი დონის სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებებით; ისინი ფინანსურად თანაბრად სარგებლობენ სიკეთეებით: ფინანსური მოგება, საბანკო სესხი, საკუთრება, მემკვიდრეობა, თანაბარი ანაზღაურება და ა.შ.



რატომ არის გენდერული თანასწორობის და დისკრიმინაციის თემა აქტუალური საქართველოსთვის?

2015 წლის მონაცემებით:

- *ქალები შეადგენენ პარლამენტართა 12%-ს და უკავიათ მინისტრთა პოსტების 15%.*
- *ქალები შეადგენენ საკრებულოს წევრთა მხოლოდ 11,6% -ს.*
- *69 გამგებლიდან მხოლოდ ორია (2) ქალი.*
- *64 საკრებულოს თავმჯდომარეს შორის 2 ქალია.*





სახელმძღვანელო მომზადდა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული და მერსი ქორფს საქართველოს მიერ იმპლემენტირებული მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის (ALCP) მიერ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

პუბლიკაციაზე მუშაობდნენ: ჰელენ ბრადბერი, შორენა ლორთქიფანიძე, ნანა ბერეკაშვილი, მაია მოსიაშვილი
ფოტო ყდაზე: ჯეიმი გრანტი
თბილისი. 2016